

ვახტანგ კოკილაშვილი

(ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი)

არაწრფივი ჰარმონიული ანალიზის ინტეგრალური ოპერატორების
შემოსაზღვრულობის კრიტერიუმები ბანახის არასტანდარტულ
ფუნქციურ სივრცეებში

მოსხენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- გაწრფევად წირებზე კოშის სინგულარული ინტეგრალით განსაზღვრული ინტეგრალური ოპერატორის შემოსაზღვრულობის კრიტერიუმი ზომად ფუნქციათა მიმართ გრანდ ლებეგის წონიან სივრცეებში. ანალოგიური ამოცანა განიხილება ჰარდი-ლიტლვეუდის მაქსიმალური ფუნქციებისათვის.
- კოშის გულების ნამრავლიანი გულებით ინტეგრალური გარდაქმნების თითქმის ყველგან არსებობის საკითხები.
- ნამრავლიან სივრცეზე კოშის სინგულარული ინტეგრალით განსაზღვრული ოპერატორის ახალ წონიან ფუნქციურ სივრცეებში შემოსაზღვრულობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.